[საქ]ართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი N3

21 მაისი 2013 წ.

ქ. თბილისი

**შესყიდვის საგანი:** ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის ქ. N58-ში (საკადასტრო კოდი N03.04.26.170) მდებარე ოთხსართულიანი შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მოწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის საშუალებით.

**საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:**

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, საკონკურსო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

**საკონკურსო კომისიის წევრები:**

- მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
- კობა ხუბუნაია — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
- მამუკა კიკალეიშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
- ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

**საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:**

- გიორგი კვანჭილაშვილი — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- შოთა რუხაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

**დღის წესრიგი:**

1. ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის ქ. N58-ში (საკადასტრო კოდი N03.04.26.170) მდებარე ოთხსართულიანი შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მოწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის“ (№729, 22.04.2013წ.) შედეგების განხილვა.
1. კონკურსში (№729, 22.04.2013წ.) მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

**საკონკურსო კომისიამ მოისმინა:**

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ ელექტრონულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად კონკურსში (№729, 22.04.2013წ.) თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა ერთი კონკურსანტი:

**1. შპს "Georgianhause";**

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინდადება განსახილველად გადაეცა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად. **(ოქმი N2, 01.05.2013წ)**

კონკურსანტის მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს 20 000 (ოცი ათასი ლარი) ლარს.

**საკონკურსო კომისიამ განიხილა:**

საკონკურსო კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, შპს "Georgianhause"-ის მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს წარმომადგენელმა ამირან გოგიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფცია შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური დავალების მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს და წერილობითი შეფასება მისცეს შპს "Georgianhause"-ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას, შემოთავაზებული ფასისა და არქიტექტურული კონცეფციის გათვალისწინებით.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:
1. შპს "Georgianhause"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში (№729, 22.04.2013წ.) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "Georgianhause"-ის საკონკურსო წინადადება.
2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:
2.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.
2.2. შპს "Georgianhause"-თან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

საკონკურსო კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე
კობა ხუბუნაია
კახაბერ ჩხარტიშვილი
მამუკა კიკალეიშვილი
ზაზა იმედაშვილი
მურად აბლოთია

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

გიორგი კვანჭილაშვილი
დავით ლოლაძე
გია ნაჭყებია
შოთა რუხაძე
მაიკო მიქაია